



საქმე №3/1620-14წ

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
**საქართველოს სახელით**  
**სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ**

19.05.2014წ.

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია  
**მოსამართლე** ნინო შარაძე

მოსარჩელე - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“

მოპასუხე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

მოპასუხე - საქართველოს მთავრობა

დავის საგანი - ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის №05/09/221 დასკვნა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 გადაწყვეტილება შპს „RMG GOLD“-თვის სამთო საქმიანობის განხორციელების მიზნით დადებითი დასკვნის გადაცემის შესახებ, საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 20104 წლის მაისის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

**გ ა ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე და 445-ე მუხლების მოთხოვნებს და მიღებულ უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე, 284-ე, 285-ე, 445-ე, 446-ე, 448-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. სარჩელი მიღებულ იქნეს სასამართლო წარმოებაში;

2. დაიწყოს მოცემული საქმის მომზადება სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე განსახილველად, მოპასუხეს გადაეგზავნოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების (საბუთების) ასლები, შესაგებლის წარმოსადგენად განესაზღვროს 10 (ათი) დღე;

3. განჩინება არ საჩივრდება.

**მოსამართლე:**

**ნინო შარაძე**